



დილით თბილისის კაფე-რესტორანებში

— ეს ჩაის ჭიქა რომ დამიდგი ამ დილით, რას აპირებ დამალევინო?

— ჩაის ჭიქა, ბატონო, სწორედ რვა ნომრისათვის. არის ზედგამოჭრილი. თქვენსთანა ვაჟუკაც ჩაი, რძე და კაკაო რავა ეკადრება!

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

ნ ი ა ნ ბ ი



— როგორც ჩანს, ამოდ ვოცნებობდით, სასწავლო წელი
იანვარში კი არა, სექტემბერში იწყება თურმე!..

გელევიზორები თბილისში

თბილისში საოცარი ხმა დაირხა: დაფინებით ამბობდნენ. რომ რკინიგზის № 28 მაღაზიის სექციონერმა შ. თავდიშვილმა ხარკოვიდან. როგორც დიდად დეფიციტური და საქირო საქონელი, ორი ტელევიზორი ჩამოიტანაო.

დაიძრა ხალხი უცხო აპარატის სანახავად. ზოგს ასე ეგონა. შ. თავდიშვილმა ტელევიზორი თუ ჩამოიტანა, ტელევიზორის გადამცემ სადგურსაც ჩამოიტანდაო. მაგრამ ტელევიზორი მუწავით დუმდა და მის გადიდებულ ეკრანზეც არაფერი ჩანდა.

შ. თავდიშვილს რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებაში საქონლის დიდი სპეციალისტის სახელი აქვს გავარდნილი. ამიტომ განყოფილებამ ამას წინათ იგი ხარკოვში ახალი საქონლის შესარჩევად და წამოსაღებად მიაგზავნა.

ხარკოვში შ. თავდიშვილი ბნელ პირებს დაუკავშირდა, 450.000 მანეთის გადაფასებული, ჩაწოლილი და ხარისხდაკარგული საქონელი წამოიღო, ისიც სოფლის ფასად აანგარიშებინა, რაც ქალაქის ფასებთან შედარებით 32.000 მანეთის ზედმეტ განსხვავებას იძლევა.

ტელევიზორის ორივე აპარატი უკეთესი მომავლის მოლოდინში ამჟამად საწყობში უმოქმედოდ აწყვია, ხოლო შ. თავდიშვილი დღესაც გულში იცინის და უხარია, რომ ასე ოსტატურად გააცურა რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილების ხელმძღვანელები.

ლ. კნელაძე

ლუდის ქაფდასმული ბეჭედი

ისინი მხოლოდ შორიდან იცნობდნენ ერთმანეთს. ლუდის ქაფდასმული ბეჭედი. ზოგჯერ — შემთხვევით თუ შეხვედრადნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებაში, სადაც მათ, განყოფილების ხელმძღვანელთა რეკომენდაციით პირველად ფეხი აიდგეს და მოქმედების დიდ სარბიელზე გამოვიდნენ.

საქმიანობითაც არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან საერთო: პირველი — მეტრეველი — მეთორმეტე მაღაზიის გამგედ მუშაობდა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობდა, მეორე — ჩერტოველი — ღრმალელის დამხმარე მეურნეობის დირექტორად მოღვაწეობდა და რკინიგზის სასადილოებსა თუ ბუფეტებს ამარაგებდა.

მათი საქმიანობის მასშტაბიც სხვადასხვაგვარი იყო.

მეტრეველმა მემკვიდრეობით 255.893 მანეთზემოფლანგული მაღაზია მიიღო და დანიშვნისთანავე ძველს ახალი დაამატა. დანიშვნისთანავე ქალის ყელსახვევს (არტიკული № 1239-524-115) ძველი იარაღი მოაძრო, ახალი მიაკერა და 80 მანეთისა და 80 კაპიკის ნაცვლად, თავისი შეხედულებისამებრ, ახალი ფასი 95 მან. და 45 კაპ. მიაწერა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთ მაქინაციებში ჩერტოველი წინათ შენიშნული არ ყოფილა.

ეუახლოვდებით ჩვენი წერილის მთავარ თემას.

ჯერჯერობით საიდუმლოების ბურუსითაა მოცული და დადგენას მოითხოვს ის ფაქტი, პირველად რომელ მათგანს — გამგეს მეტრეველსა თუ დირექტორ ჩერტოველს მოუვიდა თავში ამ გაბედული კომბინაციის განხორციელების იდეა. მით უფრო, შესრულებული სამუშაოს ხასიათი სულ სხვადასხვა იყო, ხოლო სახელმწიფოსათვის ფულის გამოძალვის ხერხი კი საოცრად დამთხვავდა ერთმანეთს.

მეტრეველმა დაქირავებულ პირებს თავისი მაღაზიის სარდაფისათვის მიწა ამოათხრევინა, ხოლო ჩერტოველმა წყალსაქაჩის ქვაბულისათვის თხრილი გააკეთებინა.

როგორც მეტრეველმა, ისე ჩერტოველმა დაქირავებულ ხალხთან ანგარიშსწორებისათვის და ფულის მისაღებად თავიანთი ხელით კოლექტიური მინდობილობა დასწერეს. მინდობილობას ოფიციალური ბეჭედი სჭირდებოდა. მეტრეველმა პლენხანოვის პროსპექტზე მდებარე ლუდის ბარში წინასწარ იზიგმა თავისი გამარჯვება. ბეჭდისათვის შორს არ წასულა: 2002 მანეთის ხარჯთაღრიცხვის მინდობილობას იქვე ლუდის ქაფში დასველებული ლუდის ბარის მრგვალი ბეჭედი დააკრა.

ჩერტოველი უფრო შორს წავიდა: თბილისში ვერავინ ნახავისაც შეეძლო ღრმალელში შესრულებულ სამუშაოს შემოწმება და 3466 მანეთის მინდობილობას სოხუმის რაიონის სოფელ ანდრეევკის კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი დაასვა. წარმოიდგინეთ, ორივეს დაუჯერეს და ამ ერთგვარი კომბინაციით მათ ერთგვარად ისარგებლეს. არსებული სამუშაოს შესრულებისათვის არასრულ პირთათვის გამოწერილი ფული თვითონ მიითვისეს.

როდესაც გამგე მეტრეველისა და დირექტორ ჩერტოველის საქმეს სათანადო ორგანოები გაარჩევნ, მათ არც ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილების მესვეურები უნდა დაივიწყონ, არც ლუდის ბარისა და ანდრეევკის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, არც ის მუშაკები, რომლებმაც ვერ დაინახეს (თუ არ დაინახეს!) ყალბი საბუთები და ფული ასე ბრმად გასცეს.

გ. სიმონიშვილი

— კეხნით არ ვიტყვი და ჩემი ვალიკო ამ მხრივ სწორედ რომ მაგალითად გამოდგება. — თქვა ქეთინომ, როდესაც კუბეში თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა სჯა-ბაასი გაზეთ „პრავდა-ში“ გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ანხ. ს. კურაშოვის სტატიის გარშემო.

— პროლეტარიატს არ ესაჭიროება დათრობა, რაც მას გა-აბრუებს ან ალაგზნებს, მას ესაჭიროება სიცხადე, სიცხადე და კიდევ სიცხადე. — ზეპირად გაიმეორა ერთმა მოქალაქემ აღნიშ-ნულ სტატიაში მოყვანილი ციტატი.

ჩვენს კუბეში აღმოჩნდა ახალკურსდამთავრებული ექიმიც, რომელმაც სეჩენოვისა და პავლოვის დამოწმებით სწორად გან-ვიტარა აზრი ადამიანის ორგანიზმისათვის ალკოჰოლის მავნებლო-ბის შესახებ. მან ლათინურად ჩამოთვალა დავადებანი, რომლებ-საც ალკოჰოლის ზედმეტად ხმარება იწვევს ადამიანის ორგანიზმში და დაუსახელებელი არ დაუტოვებია თავის ტვინის ქერქის არც ერთი უჯრედი, რომელთაც აზიანებს ეს ნარკოზული შხამი.

ქეთინოს მეუღლე ვალიკო რატომღაც არ იღებდა მონაწილე-ობას კამათში, ღია ფანჯარასთან იდგა და ნიავისათვის მიეშვირა თავი.

ქეთინო კი სიამაყის გრძნობით გვიყვებოდა, თუ როგორ გა-რდაქმნა მან თავისი მეუღლე, როგორ მიატოვებინა ღვინის სმა.

რა შესანიშნავია ეს კუბირებული ვაგონი! დაილოცოს მაგის ვამპეტელის მარჯვენა. შიგ ყველაფერი კრიალებს, დაწყებული საწოლით და დამთავრებული საფერფლით.

— მგზავრობას შეგაყვარებს, არა? — მეუბნება თანამგზავრი.

— მართლაც, თვებით იმგზავრებ ასეთი ვაგონით და დალ-ლას ვერ იგრძნობ. ალბათ მომსახურებაც სანიმუშო იქნება.

— ასე უნდა ვიფიქროთ, — მიპასუხებს თანამგზავრი.

— ვალიკო, არ დაიღალე, გენაცვალე? მოდი, ჩამოჯექი!

— არა, ჩემო კარგო, აქ ნიაგია, მსიამოვნებს, — უპასუხა ქეთინოს მეუღლემ.

ქეთინო და ვალიკო ერთმანეთს ისე ელოლიავენოდნენ, რომ ცოლ-ქმარი კი არა, ახალშეყვარებულები გეგონებოდათ.

ვალიკომ ყველა ჩვენთაგანის სიმბათია დაიმსახურა თავისი იშვიათი მოკრძალებით.

„რა ბრძანეთ!“, „კი ბატონო!“, „ინებეთ!“, „დაბრძანდით!“, „მაპატიეთ!“, „ბოდიში!“ — ასეთ სიტყვებს ამოშაქრავდა ხოლმე მი-სი ბაგე.


გასაუბრებით გავიგეთ, რომ მას ერთხანს რკინიგზაზე უმუ-შავნია, ხოლო ახლა რომელიღაც შახტის მთავარ ბუხალტრად მუშაობს. საქმიანი და ავკარგიანი კაცია, — ასეთი აზრის დავრჩით ყველანი და ასეთი აზრით ჩაგვეძინა, როცა ვალიკო თავის ქეთი-ნოს სასთუმალს უსწორებდა და გაზეთით ნიავეს უქროლებდა.

გათენდა. ინგურის ხეობა. ბარადნწვანე ჩაის პლანტაციები. ქილოფის ქუდებიანი ლამაზმანები გამოფენილან შარაგზაზე და ტანის რხევით სიცილ-კისკისით მიეშურებიან ჩაის საკრეფად. სიმინდის-ბარაქიან ტაროებს შევავლეთ თვალი და ვაგონში გაისმა მოწოდება:

— აბა, ვისაუზმოთ. ვის უნდა საუზმე!

გამოჩნდა თეთრხალათიანი დამტარებელი დაწული კალა-თით ხელში. ჩვენ დავვაინტერესა ამ სანიმუშო მატარებელში რით გავვიმსახინძლდებოდნენ რკინიგზის ბუფეტების გაერთიანების მუ-შაკები.

- აბა, მოდი, მეგობარო!
- რას ინებებთ?
- ლიმონათი. ლიმონათი!
- ლიმონათი არა მაქვს.
- ლუდი?
- არა.



- მაშ, რა გაქვს?
- არაყი, ბატონო. არაყს რა სჯობს დილით!
- საქმელი რა გაქვთ?
- ძეხვი.
- და მართლაც, ხანდაზმული ძეხვისა და გამხმარი პურის მე-ტი კალათში ვერაფერი აღმოვაჩინეთ.
- ყველამ ზურგი შეაქცია კალათსა და დამტარებელს.
- ჯერ თქვენ ეს არაყი მიირთვით და მერე საუზმეც მოგე-წონებათ.

— ვითომ რატომ?

— არაყი მადის მომგვრელი საშუალებაა. ორას გრამს რომ გადაკრავთ, ეს დაობებული ძეხვი შებრაწულ გოქის ხორცად მო-გეჩვენებათ და ამ პურსაც არ დამიწუნებთ. — გაგვიწია პროპაგან-და დამტარებელმა. ალბათ ასე დააბარეს რკინიგზის ბუფეტების გაერთიანების ხელმძღვანელებმა, რომლებიც განსჯეალული არიან ერთი აზრით — ოღონდ გვგმა შეასრულონ და მომხმარებლის მო-თხოვნილებას არ დაეძებენ.

ჩვენი ქვეყნის თვალ-მარგალიტს — წალკოტად ქცეულ სოხუმს ეუახლოვდებოდით, როდესაც მეზობელ კუბეში ჩოჩოლი შემო-გვესმა.

— თუ შეიძლებოდა, ეს კიტრი გადადგით და აი, ამ კიტრით მიირთვით, ვის ატყუებ, შე ქვეყნის გლახავ!

— ვალიკო, შენ გენაცვალე, ქეთინოს ხათრისთვის აპატიე.

— შენი ქეთინოც და შენი აგი და კარგიც! — შეიფინა ვალი-კომ და წიხლი ამოჰკრა სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას.

არაყის ბოთლები ბროლის სარკეს შეასკდა და ძირს დაცვივ-და სხვადასხვა ზომის კიტრები, რომლებიც მოქეიფეთა ჯგუფს სასმისებად გაეკეთებინა. კონფლიქტი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვალიკოს ერთ-ერთ თანამესუფრის კიტრი მხოლოდ შუამდე იყო ამოღრტუნული, ვალიკოსი კი — ძირამდე. ეს ვალიკომ მაშინ შე-ნიშნა, როდესაც არაყით სავე მეექვსე კიტრი დაცალა.

ქეთინოს ეს ამბავი არც კი გაუგია. იგი მეზობელ კუბეში იკაზმებოდა, როდესაც ვალიკომ არაყით გაგებულ ერთი გრძელი კიტრი ტუჩებზე მომადო და ბრძანების კილოთი მომაცხა:

— დაღიე, თორემ შეგაძვრენ...

— მე თვითონ, მე თვითონ, ბატონო ვალიკო! — დაფუყავი, გადაკარი, სხვა რა გზა იყო და ისე გაეძვერი მეორე კუბეში, რომ კაცის ფერი არ გამყოლია.

ამ დროს ქეთინომაც ბროლის გულ-მკერდით გამოანათა მე-ზობელ კუბედან. მე გაბრაზებულმა მივაძახე:

— უშველეთ იმ თქვენს გაგიჟებულ ქმარს. რა კარგად გარ-დაგიქმნიათ!?

— რას ეჯღანები მაგ დაჯღანულ დედაკაცს! — მომაცხა ვა-ლიკომ. მე თავზე ხელი მოვიჭირე და მეზობელ კუბეში შევევადი.

— უი, ჩემი სიკვდილი! — შეჰკივლა ქეთინომ და ჩაიქცა.


ვალიკომ ხელი მოხვია მის მდგომარეობაში მყოფ ერთ რკი-ნიგზელს და ეგსამე კუბეს მიადგა სიმღერით:

„დავლიოთ, დავლიოთ, სულ დავლიოთ, დავლიოთ, დავლიოთ და შეგვევრებააა...“

— ცეცხლი დაღიე, ნავთი დაღიე, შე სასიკვდილევ, შე თა-ვის მომჭრელო! — მიაცხა ქეთინომ, რომელიც გულშემატკივარმა მგზავრებმა წამოაყენეს.

— რა კარგი იყო ვალიკო ღამით, რა საზიზღარია დილით, — იმეორებდნენ მგზავრები და ჰკიცხავდნენ ბუფეტების გაერთიანე-ბის ხელმძღვანელებს. ეს ამბავი მოგონილი არაყის ეგონოს. თვა-ლით ნახული და განცდილი ამბავია.

გამანა უზნიკი



— ვა. შენ ტყე რა შორსა გგონია.
კმბორი აქვე არ არი? — უხსნიდა

—ვის მისდევნ? ყაჩაღი? თუ ვა-
გონში ნადირი შემოვარდა?
—ნადირს აქ რა უნდა ქა. ტყეში
ხომ არა ვართ!..

გულ დეკლუს მიაგნო. იფიქრა — ახლ
გამოზნაზნებულია და შინ წაიყვანო
მეგრამ აბაჯიანი სასტიკად გაჯი

ვეტყველები ს. წილოსანი და
დ. კერესელი ერთმანეთს დაიყუ-
ნა, მრჩეველი გაიჩინა, განცხადებებიც
დააწერინა და ა. აბაჯიანი ლანჩხუთის

— 'მედი. შოთა.

... წადი... წადი... და სხვასაც
მწარე ხელი აქვს ბოჩია ასათიანს. შემ

რელი ზუბაძე, რომელიც
მედიკალიზაციაში მუშაობს.
მედიკალიზაციაში მუშაობს.

ჩხუთის I უბნის სასამართლო იმის
შეგნება, რომ თვითონ კანონი ითვა-

მოულოდნელად სრულიად თქვა: ვერ გავხიზავ, ატანა

ՅԵՐԵՐԻՆԱՐԻ ՅՅՅԻԱՆ,—
ԼԱՍՏԻՆ ԿՈՎՈՐՄԻՍ ԺԱՅԻՆ ԺԱՅՆ

.....

გაისმა ფერმის მუშაკების ყვო-

მად გადახედა გასრესალ ღოგს

დაიძახა იქვე მდგომმა კოლმე-

ასათიანი? ასათიანი რა თუ ვინმე გაბე-

[illegible]

ჩვენს, ვინ დაჩრდილავს, ვინ
მეგობრობის თარღო ჰამრის

3. 333527831-0

— მე ერთი საბრალო ბოძი ვარ, ყველასაგან მივიწყებული და მიტოვებული. ქარი ხან სამხრეთით გადამაწვენს ხოლმე, ხან ჩრდილოეთით. დაუსრულებელი რწვევისაგან ფეხქვეშ ორმო გამიჩნდა, მაგრამ რალაც ჯადოსნური ძალით თავს მაინც ვიმაგრებ, სხვა ბოძებივით ჯერ არ წავექცეულვარ და ცეცხლში არ ჩაუგდო ჩემი თავი.

დღემდე რამ გადამარჩინა, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია. ამას წინათ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე (გვარად პარკაძე) მესტუმრა. ცოტა არ იყოს შეზარხოშებული იყო. მესტუმრამეთქი, ზრდილობისათვის ვამბობ, თორემ სიტყვა სტუმრობა რა მოსატანია, — სიბნელეში გზა აბნევია თურმე. საკუთარი თავიც არ შეიბრალა იმ ოჯახაშენებულმა და ჩემს გამხმარ და გაძვალტყავებულ ტანზე ბარე ნახევარი ცხვირი დამიტოვა... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ისე მაგრად დამეჯახა, რომ მთელი ტანით წავებარბადი... ერთადერთი ფაიფურის ბურთულა, რომელიც იმედის ვარსკვლავივით ბრწყინავდა ჩემს კისერთან, მოძვრა და თავმჯდომარეს ზედ თავზე დაეცა.

არ მახსოვს რომელმა ამოვიკენესეთ—მე თუ თავმჯდომარემ... მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ასეთი შემადრწუნებელი ხმა, რაც ქვეყანაზე სულს ვლავავ. არა მსმენია.

მე ვიკითხო, თორემ თავმჯდომარეზე ახიაო—იტყვის ყველა პატიოსანი კაცი. იტყვის, აბა რა იქნება! სად გავიწილა, კაცო, ხალხმა ფული შეაგროვოს, შრომადღეები გაიღოს, არაფერი არ დაიშუროს საქმისათვის, ხოლო იმის გამო, რომ თავკაცები უთავონი იყვნენ, სოფელი წლების განმავლობაში სიბნელეში დარჩეს!

განა ყოველთვის ასე მარტო ვიდევნი ამ სერზე? არა. ბარე ორმოცამდე თანატოლი მედგა წინ და უკან... თვით სოფლის ცენტრამდე ვიყავით ჩამწკრივებულნი. კოლმეურნეთა რამდენი სიხარული მახსოვს მაშინ... ამბობენ: გლეხებმა ოთახებში მავთულები გაიყვანეს და ელექტრონათურებიც კი ჩამოკიდესო... ვაი, სირცხვილო! რა იქნებოდა ის მავთულები ჩემს მკერდზედაც გაეჭიმათ იმ დალოცვილ თავმჯდომარესა და ელექტრომონტიორ ვ. ბასანიძეს, მეგრძნო როგორ აღულუნდებოდნენ ისინი. მოგეცა ლხენა, სულ ბლუჯა-ბლუჯა გავუშვებდი დენს სოფლისაკენ.

ახლა კი ვოცნებობ მხოლოდ... ჯანდაბას ჩემი თავი... მე მხოლოდ გორის რაიონის სოფელ ერგნეთის კოლმეურნეები მეცოდება, კოლმეურნეები, რომლებიც ხუთი წელია ოცნებობენ სინათლეზე... არა, კი არ ოცნებობენ, ფულს იხდიან, მასალებს ყიდულობენ, ყოველ საერთო კრებაზე კოლმეურნეობის გამგეობას ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად სოფელში სინათლის გაყვანას უსახვენ.

თავმჯდომარე პარკაძე მოხერხებული და პირწყლიანი კაცია. მოხსენებას ყოველთვის სოფელში ელექტროდენის გაყვანის აუცილებლობით იწყებს. ხოლო საქმეს კოლმეურნეთა მიერ შეგროვილი თანხის განიავებით ამთავრებს.

ახლა, როგორც ხედავთ, მარტო მე დავრჩი ამ სერზე... კოლმეურნეობის გამგეობისა და ერგნეთის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს ენერგიული მუშაობის შედეგად, სხვა ბოძები დროულად იქნა მიტანილი ცეცხლის პირამდე. ცხადია, ამ დღეებში მეც ქარი წამაქცევს, ან რომელიმე უსულგულო ადამიანის ხელი აღმგვის პირიდან მიწისა.

სხვა არა მოხდეს რა, ამას წინათ სიბნელის გამო ცხვირგატეხილი თავმჯდომარე დამემუქრა: მოგიკდეს ჩემი თავი თუ დედაბუდიანად არ ამოგძირკვო! ვიცი შეასრულებს კიდევ. ასეთ საქმეში ყოჩალი კაცია.

მაგრამ... კოლმეურნეთა იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ ჩემი და ჩემი ძმების ამოძირკვას არავის არ აპატიებენ. ჩვენს შორის დარჩეს და გავიგე, რომ კოლმეურნეებს, სადაც ჯერ არს, უთქვამთ თურმე: „ვიცი, ვიცი, ვინ უნდა ამოძირკვოს... ოთახებში თუ ბნელა, თვლებში სინათლე არ ჩაგვეკრობიაო“.

მეც მაგ ნათელი თვლების იმედი მაქვს, მაშა!

ბ. პაალაძე

რკინიგზის ზოგიერთ სადგურზე, სასმელების გასაღების მიზნით, წყალსადენს კეტავენ.


ნან. დონიხა




— არიქა, მიშველე, დაკბე წყალი, მატარებელი შემოდის სადგურში და იქნებ მგზავრებმა ჩემი ღვინო-არაყი მოიკლან წყურვილი!

ნაზ. დონიხი

ნაზ. ა. მახინაძე



ასეთი სურათიც მოხალოდნელია,
რკინიგზის მეისრედ როცა ლოტს ელიან.



ალკოჰოლის შედეგებზე
მოხსენება დამავალეს,
მე კი წუხელ იმდენი ვსვი,—
ველარ ვარჩევ მზისგან მოვარეს!



დიდხანს იჯდა სუფრის თავში,
იმდერა და იჭიკჭიკა.

ღვინომ ფული ამოართვა,
გული—წმინდა ბროლის ჭიქამ.

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-ჰუმორისტული ჟურნალი „ნიაგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.
გამომც. № 16, ხელმოწ. დასაბ. 24/VIII-1954 წ. ჰაზ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. „ბარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42
შეკვ. № 2074 უფ. 15349 ტირ. 20.000



შეჯიბრება დიდ ჯილდოზე

კოჯორში კვლავ მოუგვარებელია წყლით მომარაგების საქმე.

— რა მოხდა, ყველა ერთად რატომ დამდგარა სროლის გუნებაზე?

— ნუ დადგები სროლის გუნებაზე, თუ ბიჭი ხარ. ვინც ნიშანში მოატყამს, ჯილდოდ სამ ჰიქა წყალს აძლევენ!..